

კოვიდ-19 პანდემია საჯარო დისკურსში

(კოვიდპანდემიის ენის ლინგვოსემანტიკური ანალიზი ქართულ,
ამერიკულ და რუსულ მასალაზე დაყრდნობით)

ნუნუ კეთილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნუნუ კეთილაძე

29.06.2022

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს, საუკეთესო აკადემიური თუ პირადი რჩევა-დარიგებებისა და მხარდაჭერისათვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის, გამოყენებითი უცხო ენებისა და საერთაშორისო მოლაპარაკებების/ეკონომიკის მიმართულების ყველა იმ ლექტორსა და პროფესორს, რომლებიც განვლილი ორი წლის განმავლობაში გვერდში მედგნენ და კოვიდ-19 პანდემიის პირობებშიც კი, საუკეთესო ხარისხის ცოდნის მიღებაში მეხმარებოდნენ. მიმაჩნია, რომ მათმა პროფესიულმა უნარ-ჩვევებმა და აკადემიურმა დარიგებებმა, საშუალება მომცეს შემესწავლა ლინგვისტიკის გადაკვეთის წერტილები ისეთ დისციპლინებთან, როგორებიცაა ეკონომიკა და სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები და მოლაპარაკებები. აღნიშნულმა პროგრამამ მომცა უნიკალური შესაძლებლობა ენობრივ კომპეტენციასთან ერთად, მიმეღო გარკვეული ცოდნა სოციალური მეცნიერებების სფეროშიც, რომელსაც უკვე წარმატებით ვიყენებ პირად კარიერულ ასპარეზზე.

საბოლოოდ კი, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში, სრული მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის.

აბსტრაქტი

კოვიდ-19 პანდემია XXI საუკუნის უნიკალური მოვლენაა. მან არა მხოლოდ შეცვალა თითოეული ადამიანის ცხოვრება, არამედ თავდაყირა დააყენა მსოფლიო ლინგვისტური სფერო და განავითარა სრულიად ახალი, აქამდე უცნობი ენა. ადამიანებს მიეცათ არაჩვეულებრივი საშუალება, შეესწავლათ და მონაწილეობა მიეღოთ დიდი სოციალური ცვლილებების საშუალებით, მნიშვნელოვანი ლინგვისტური ცვლილებების განხორციელებაში.

მთელს მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, ამერიკასა და რუსეთში ამოქმედდა კორონავირუსთან დაკავშირებული სიტუაციის მონიტორინგის ცენტრი: სადაც მონაცემები ინფიცირებულთა, გამოჯანმრთელებულთა და დაღუპულთა რაოდენობის შესახებ, თითქმის რეალურ რეჟიმში, ნებისმიერ დროს ჩანს. ადამიანთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი, ამოქმედდა სადღეღამისო ცხელი ხაზი და ორგანიზება გაეწია მოხალისეთა და ნებაყოფლობით მოძრაობებს. ხალხი მთელი მსოფლიოდან გაერთიანდა საერთო მტრის, კოვიდ 19-ის წინააღმდეგ. შეიცვალა სამსახურების, სწავლების და ზოგადად ცხოვრებისა და კომუნიკაციის გზები და საშუალებები. სამყარო დაემსგავსა მცირე, დისტანციურად მომუშავე ორგანიზმს, რომელიც დამოკიდებული გახდა ონლაინ სამყაროზე.

წინა პლანზე წამოიწია კრიზისული ენა. მსოფლიო დადგა აქამდე უცნობი გამოწვევების წინაშე. სახელმწიფო წარმომადგენლებსა და ხელისუფლებას დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა, მოეპოვებინა ხალხის ნდობა, გაეკონტროლებინა პანდემიის გავრცელების არეალი და ამავდროულად, გაეშუქებინა მიმდინარე მოვლენები პოზიტიური რაკურსით. ქვეყნის ლიდერებისთვის საჭირო გახდა მოსახლეობასთან მუდმივი კომუნაკაცია, თანაც ისე, რომ მათი რიტორიკა ნდობისა და უსაფრთხოების გარანტი ყოფილიყო.

სოციალურ მედიაში კი გამოჩნდა აქამდე უცნობი, ან კარგად დავიწყებული, ძველი, ლექსიკური ერთეულები, რომლებმაც თითოეული ადამიანის რიტორიკაში აქტიურად დაინერგა თავი.

წინამდებარე ნაშრომში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, გამოვიკვლევთ კოვიდ-19 პანდემიას საქართველოს, რუსეთისა და ამერიკის საჯარო დისკურსებში და გავეცნობით თანამედროვე, საერთაშორისო ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც სამუდამოდ დარჩება ჩვენს სამეტყველო ენაში.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19 პანდემია; საჯარო დისკურსი; რიტორიკა; ლინგვოსემანტიკა; ლექსიკოლოგია; მედია-დისკურსი; სიტყვა-ტერმინი.

Abstract

The Covid-19 pandemic is a unique phenomenon of the XXI century. It has not only changed people's lives but also turned the linguistic areas upside down and developed a completely new, previously unknown language. People earned an extraordinary opportunity to explore, participate in major social changes and make significant linguistic transformations.

A coronavirus monitoring center was organized practically everywhere, including in Georgia, the United States, and Russia. People can discover the data on the number of infected, recovered, and killed people in real-time.

To guarantee the safety of the people, and an around-the-clock hotline was set up and voluntary movements were organized. People from all over the world united against a common enemy, Covid-19. The ways and means of carrying out services, teaching, and life and communication, in general, have changed. The world was like a small, remotely working organism that became completely dependent on the online world.

A crisis language came to the fore. The world has faced hitherto unknown challenges. Government officials had a great responsibility to gain the trust of the people, control the spread of the pandemic, and at the same time, cover current events from a positive perspective. The country's leaders needed constant communication with the population so that their rhetoric would guarantee trust and security.

Even on social media, hitherto unknown, or well-forgotten, old, lexical items have appeared, which have been introduced into the rhetoric of each person.

Based on the research conducted in this paper, we will investigate the Covid-19 pandemic in the public discourses of Georgia, Russia, and the United States and learn about modern, international lexical items that will forever remain in our spoken language.

Key words: Covid-19 pandemic; Public discourse; Rhetoric; Linguosemantics; Lexicology; Media discourse; Word-term.